სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

02258183000819

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

# N190540103

რეგისტრაციის თარიღი

15.05.2019 წ

ნოტარიუსი: ლანა მაჭავარიანი
მისამართი: ქალაქი თბილისი , მოედანი თავისუფლება N 4, სართული 2
ტელეფონი: (+995) 595 10 16 08

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის თხუთმეტ მაისს მე, ნოტარიუსს ლანა მაჭავარიანს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, მოედანი თავისუფლების #4, მე–2 სართული, მომმართა ბატონმა **იციკ მოშემ**, რომელმაც განაცხადა, რომ ის არის **შპს „ემ. სი. აი. პროჯექტ“–ის (ს/კ 204496410) დირექტორი და 10%–იანი წილის მფლებელი პარტნიორი** და სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **იამით (ციპორა) მოსკოვიჩს.**

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **იციკ მოშემ** (დაბ. 31.12.1959, მცხოვრები მისამართზე:ქ. თბილისი ბესიკის ქ. #4, ისრაელის მოქალაქის პირადი 0-1422314-3, პასპორტის ნომერი 21027204) მომმართა.

მე შევამოწმე **იციკ მოშეს** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის არის **შპს „ემ. სი. აი. პროჯექტ“–ის (ს/კ 204496410) დირექტორი და 10%–იანი წილის მფლებელი პარტნიორი** , თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B18015955** ამონაწერის მომზადების თარიღი: 14/02/2018წ.)

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას, მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს „ემ. სი. აი. პროჯექტ“-ის** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204496410; იურიდიულიმისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდისრაიონი, თავისუფლებისმოედანი, N4, სართული 2; ელექტრონმისამართი: itsikmoshe@gmail.com) დირექტორი **და 10%–იანი წილის მფლებელი პარტნიორი** - ისრაელის მოქალაქე **იციკ მოშე** (დაბ. 31.12.1959, მცხოვრები მისამართზე:ქ. თბილისი ბესიკის ქ. #4, ისრაელის მოქალაქის პირადი 0-1422314-3, პასპორტის ნომერი 21027204), შემდგომში წოდებული, როგორც „მინდობილი პირი“, ისრაელის მოქალაქე **იამით (ციპორა) მოსკოვიჩს** (დაბ. 08.10.1979წ. მცხოვრები მის მიერ გაცხადებულ მისამართზე ქ. თბილისი, ინგიროყვას 19, ბინა 29, პირადი №0-3723556-1, პასპორტის № 14621369 ), შემდგომში მოხსენებული, როგორც „მინდობილი პირი“ მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: მინობილი პირი უფლებამოსილია **შპს „ემ. სი. აი. პროჯექტ“-ის** ინტერესები დაიცვას ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში, ქ. თბილისის მერიაში, საკრებულოში/გამგეობაში, არქიტექტურის სამსახურში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისროში, მერიის ქონების მართვის სამსახურში, სანოტარო ბიუროში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, განახორციელოს საზოგადოების წესდებით დადგენილი ნებისმიერი უფლებამოსილება. მოზიდოს ინვესტიციები და ხელი მოწეროს ყველა საჭირო საბუთსა და ხელშეკრულებას (თანამშრომლობის, მომსახურების, სესხი, ბე, უძრავი ქონებისა და თუ წილის ნასყიდობის და მასთან გათანაბრებული სხვა ტიპის ხელშეკრულებები).

მინდობილი პირი უფლებამოსილია მოიწვიოს **შპს „ემ. სი. აი. პროჯექტ“-ის** პარტნიორთა კრება ნებისმიერი დღის წესრიგით. დაესწროს მოწვეულ კრებებს ხმის უფლებით, კრების მიმდინარეობისას გამოთქვას და/ან წერილობით დაურთოს მისი მოსაზრებები მტკიცებულებებან ერთად. დასვას შეკითხვები განსახილველი თემის ფარგლებში, გამოიკვლიოს დღის წესრიგის საკითხები, ხელი მოაწეროს შესაბამის კრების ოქმებს, წესდებას, მის ახალ რედაქციას, ნებისმიერი ტიპის ხელშეკრულებას და დღის წესრიგიდან გამომდინარე ყველა საჭირო საბუთს და მიიღოს გადანაწილებული დივიდენდი.

მინდობილი პირი უფლებამოსილია, განკარგოს: შეიძინოს (მათ შორის აუქციონის ფორმით), გაასხვისოს/გააჩუქოსდა/ან **სამართლებრივად დატვირთოს შპს „ემ. სი. აი. პროჯექტ“-ის** საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ქონება (მათ შორის წილი), საჭიროების მოახდინოს უძრავი ქონების მონაცემებში ცვლილებები და კორექტირებები (მათ შორის უძრავი ქონების კვადრატულობის დაზუსტება, სტატუსის ცვლილება, ნომრის მინიჭება და ნებისმიერი სახის პარამეტრის შეცვლა/კორექტირება), საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს უძრავი ქონებების გამიჯვნა/გაერთიანება, წითელის ხაზების დადგენა. ამისათვის, განახორციელოს ყველა ფინანსური და იურიდიული მოქმედებები, შეკრიბოს და გაეცნოს საქმესთან არსებულ ყველა მასალასა და დოკუმენტს, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, აწარმოოს მოლაპარაკებები მესამე პირებთან, ხელი მოაწეროს ნებისმიერი ტიპისა და შინაარსის ხელშეკრულებას, მათ შორის გამიჯვნის/გაერთიების შეთანხმებებს, ნასყიდობის, ჩუქების და მასთან გათანაბრებულ ნებისმიერი ტიპის ხელშეკრულებებს, იპოთეკას, მათში შესულ ცვლილებებსა და/ან გაუქმებებს. გადაიხადოს და მიიღოს ნასყიდობისსაგნისათვის განსაზღვრული თანხა, მათ შორის ბე-ს თანხა (შესაძლებელია გადახდა განხორციელდეს ნაღდი ანგარიშსწორებით), ხელი მოაწეროს მიღება-ჩაბარების აქტს და დაარეგისტრიროს ყველა აუცილებელი ხელშეკრულება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში.

მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია,საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს **შპს „ემ. სი. აი. პროჯექტ“-ის** საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გაზიფიცირება, გამხოლოება, სხვადასხვა კომუნიკაციების(ელექტროენერგიის, ინტერნეტის, ტელევიზიის, წყლის) შეყვანა, საჭირო სარემონტო სამუშაოების ჩატარება (როგორცგენერალური, ისეკოსმეტიკურისამუშაოები), სამშენებლო პროექტების შეთანხმება არქიტექტურის სამსახურთან და მერიასთან, მიიღოს სამშენებლო ნებართვები, გაახანრძლივოს მათი ვადა, ცვლილებები შეიტანოს დამტკიცებულ პროექტებში. ხელი მოწეროს *ზემოთქმული დავალების განსახორციელებლად საჭირო ყველა საბუთს, განცხადებას.*

მინდობილი პირი უფლებამოსილია, **შპს „ემ. სი. აი. პროჯექტ“-ის** სახელით გახსნას, დახუროს, მართოს და განკარგოს ყველა და ნებისმიერი სახის საბანკო ანგარიშები წესდებით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში, რომელიც განთავსებული იქნება სს “თიბისი ბანკში” და სს „საქართველოს ბანკში“, მოითხოვოს სესხის/კრედიტის დამტკიცება კომპანიის სასარგებლოდ. ასევე, აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, როგორც არსებულ, ისე ახალ გახსნილ ანგარიშებზე. დაამზადოს ბიზნეს ბარათი და კომპანიის სახელფასო ბარათები. ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს/ ხელშეკრულებას/ შეთანხმებას და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალებების შესრულებასთან. მინდობილი პირი აგრეთვე უფლებამოსილია, დაარეგისტრიროს, მართოს, ისარგებლოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს სს “თიბისი ბანკში“ და სს

თველოს ბანკში“ არსებული ნებისმიერი პროდუქტი/სერვისი (მათ შორის ელექტრონული სერვისები და ა.შ.), განაახლოს ერნეტ ბანკის პაროლი, აიღოს/განბლოკოს დიჯიპასი; ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს / ხელშეკრულებას / თანხმებას და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალებების შესრულებასთან. მინდობილი რი უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკი“-საგან და სს „საქართველოს ბანკისაგან“ გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ნფორმაცია (მათ შორის ცნობა, ამონაწერი, თანხმობა და ა.შ.). ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს/ხელშეკრულებას/შეთანხმებას და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია მოცემული დავალებების შესრულებასთან;

მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით და ძალაშია 2024 (ორიათას ოცდაოთხი) წლის 15 (თხუთმეტი) მაისის ჩათვლით. მინდობილობა გაცემულია გადანდობის უფლების გადაცემის გარეშე. მარწმუნებელს უფლება აქვს, ვადაზე ადრე ნებისმიერ დროს გააუქმოს წინამდებარე აქტი. მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლანა მაჭავარიანის სანოტარო არქივში (ამონაწერი ინახება ჩემს სანოტარო არქივში) ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური ათი ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31–ე მუხლისა და ორი ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის თანახმად 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია საზღაური თორმეტი ლარი.

შპს შპს „ემ. სი. აი. პროჯექტ“ დირექტორი და 10%–იანი წილის მფლებელი პარტნიორი

იციკ მოშე

ნოტარიუსი /ლანა მაჭავარიანი/

1 ფაქტები „საკუთრ თავით კანონით დადგინ ფაქტი